ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N83

Irine Inasaridze 01019007367
Digitally signed by Irine Inasaridze
Date: 2021.07.20 17:44:35

ქ. ბათუმი 20 ივლისის 2021 წ.

ერთის მხრივ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო (შემდგომში - "შემსყიდველი"), წარმოდგენილი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერის, მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანის სახით და მეორეს მხრივ ა(ა)იპ ასოციაცია "ანიკა" მისი ხელმძღვანელის დირექტორის ირინე ინასარიძის სახით, (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") (ელექტრონული ტენდერი - NAT210011204) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა განახორციელოს ქ. ბათუმში, პერსონალური ასისტენტების გადამზადება (ტრენინგი) (CPV80500000 - სატრენინგო მომსახურებები) შემდგომში - "მომსახურება", ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით. (მომსახურების ჩამონათვალი მოცემულია დანართში, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, ელექტრონულ ტენდერში - NAT210011204 განთავსებული დოკუმენტაციები).
1.2. მიმწოდებელი ასრულებს, ხოლო შემსყიდველი ღებულობს შესრულებულ მომსახურებას და ახდენს მისი ღირებულების ანაზღაურებას წინამდებარე ხელშეკრულების 2.3 პუნქტის შესაბამისად.
1.3. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშწორების წესი

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 14400,00 (თოთხმეტიათას ოთხასი) ლარს.
2.2. მომსახურების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
2.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის/ საგადასახადო დოკუმენტაციის/ინვოისის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
2.4. მიმწოდებლის მოთხოვნა ანაზღაურების შესახებ შემსყიდველისადმი შესრულებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით, მომსახურების შესრულების შესახებ შესაბამისი დოკუმენტების დართვით.
2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს შესრულებული მომსახურების ღირებულება.
2.6. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესასრულებელი მომსახურების მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ მომსახურების

მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო ლომთათიძე. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

3.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

3.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

3.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესრულებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

4.2. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

4.4. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.5. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტიურად გაწეული მომსახურების შემდეგ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესრულებისას;
ბ) მომსახურების შესრულების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 პუნქტის შესაბამისად;
გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის მომსახურების სრული ღირებულება, მომსახურების დასრულებისთანავე.
5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკ-რულების პირობების დაცვაზე;
ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემებისა და გარანტიების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;
6.2. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწნებული პირ-გასამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელ-შეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.
7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრუ-ლების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.
7.6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულება ცალმხრივად ვადამდე შეიძლება მოიშალოს (შეწყდეს):
7.6.1. მიმწოდებლის მიერ გაფრთხილების მიუხედავად ხელშეკრულების იმავე პირობების განმეორებით ან/და სხვა პირობების შეუსრულებლობის გამოვლენის შემთხვევაში;
7.6.2. ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე აშკარა ხდება, რომ მიმ-წოდებელი დადგენილ ვადაში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას და დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის (შეწყვეტის) საფუძვლები, ხოლო შემსყიდველმა ურთიერთობის გაგრძელება ხელშეკრულებით დაუკავშირა ვალდებულების დროულ შესრულებას;
7.6.3. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.
7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.
7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები

8.1. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან აპლიკანტების შერჩევისა და ტრენინგ-კურსისთვის განსაზღვრული ვადის ჩათვლით;
8.2. ტრენინგ-კურსის ხანგრძლივობა - 22 დღე;
8.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2022 წლის 1 თებერვლამდე პერიოდი.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.
12.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება.

13. სხვა პირობები

13.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.
13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის, მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

13.3. ხელშეკრულება იდება ორი ერთნაირი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების დამდებ მხარეებთან.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
აღმასრულებელი ორგანო
მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25
ს/კ 245576826;
ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ: TRESGE22
ანგ. №GE24NB0330100200165022
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი,
მერის მ/შ არჩილ ჩიქოვანი

„მიმწოდებელი“

ა(ა)იპ ასოციაცია ,,ანიკა“
ს/კ: 204956903
მის: თბილისი, ცოტნე დადიანის
გამზ. N136
ტელ: +995 32 69 45 36
სს ,,თიბისი ბანკი''
ბ/კ: TBCBGE22
ანგ.NGE36TB0600000000700929
დირექტორი ირინე ინასარიძე

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

ტექნიკური პირობები

ქალაქ ბათუმის მუნიიპალიტეტის მერიის მიერ 22 დღიანი სწავლების (თეორიული და პრაქტიკული) კურისის შესყიდვის უზრუნველყოფა შშმ პირთა პერსონალური/პირადი ასისტენტის 15 კაციანი გუნდისთვის, საიდანაც კონკურსის შედეგად სამუშაოდ დარჩება 12 კაცი. ქალაქი ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალური ასისტენტების გუნდის მომზადება ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დამოუკიდებელ ცხოვრებას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. სწავლების კურსი იყოფა 2 ნაწილად და გულისხმობს:

I - *პირველი ეტაპი* - 15 დღიანი ***თეორიული*** *ტრენინგები.* დღეში არანაკლებ 4 საათიანი თეორიული ტრენინგის უზრუნველყოფა შემდეგი თემების მიხედვით:

- პერსონალური ასისტირების არსი და მის საფუძვლად არსებული მოდელები;
- ასისტირების სფეროები - საქმიანობები და ეფექტური ასისტირების ზოგადი პრინციპები;
- პერსონალური ასისტენტის ფუნქციები, ვალდებულები, პასუხისმგებლობები და უფლებები;
- პერსონალური ასისტირების ეთიკური საკითხები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის ეტიკეტი;
- ფიზიკური უნარის შეზღუდვის გავლენა პიროვნების ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე;
- ყოველდღიური ფუნქციონირების ხელშემწყობი დამხმარე საშუალებები და მათი ფუნქციური გამოყენება;
- ფიზიკური უნარის შეზღუდვის მქონე პირების ყოველდღიური ფუქნციონირების ხელშეწყობის/ასისტირების სტრატეგიები;
- ინტელექტუალური დარღვევის გავლენა პიროვნების ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე და ხელშეწყობის სტრატეგიები;
- აუტისტური სპექტრის დარღვევის გავლენა პიროვნების ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე და ხელშეწყობის სტრატეგიები;
- ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები;
- არასასურველი/პრობლემური ქცევა და მისი მართვა;
- მხედველობის შეზღუდვის გავლენა პიროვნების ყოვედღიურ ფუნქციო-ნირებაზე;
- მხედველობის შეზღუდვის მქონე პირების ხელშეწყობის/ასისტირების პრინციპები ფუნქციური მობილობისა და საყოფაცხოვრებო აქტივობების დროს;
- პირველადი დახმარება;

II. მეორე ეტაპი - ***პრაქტიკული*** ტრენინგები, რომელიც მოიცავს 7 დღიან პრაქტიკულ სამუშაოებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან.

- დღეში არანაკლებ 4 საათიანი, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ტრენინგი შემსყიდევლთან წინასწარ შეთანხმებულ დღეებში;
- *თეორიულ და პრაქტიკულ ტრენინგში მონაწილეთა რაოდენობა უნდა შეადგენდეს 15 (კაცს), საიდანაც კონკურისის შედეგად სამუშაო გუნდში დარჩება 12 (კაცი);*
- თითოეული ტრენინგი უნდა იყოს დადასტურებული წერილობითი (სახელობითი) სიით;
- თითოეული ტრენინგის თემა და შინაარსი წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს შემსყიდველთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

სერვისის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

- 22 დღიანი თეორიული და პრაქტიკული სწავლების ჩატარება, მაღალკვალიფიციური ტრენერების ჩართულობით;
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს *ტრენინგის მონაწილეთა* ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფა;
- წყალი და საკვები (ყავა, ჩაი, ორცხობილა, ბუტერბროტი და ა.შ) დამსწრეებისთვის და მონაწილეებისთვის;
- თითოეულ სატრენინგო დღის შემდეგ მონაწილეთა სიისა და ანგარიშის მომზადება (რომელიც უნდა მოიცავდეს: ღონისძიების შინაარსს, მონაწილეების მოსაზრებებს/შეფა-სებებს, ფოტოებს და ა.შ)

სერვისის მიმწოდებელმა მომსახურების განხორციელების პირველ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალური ასისტენტის შესარჩევად კონკურსის გამოაცხადება,** ქვემოთ მოცემულის შესაბამისად

პერსონალური ასისტენტი

ვაკანტური ადგილების რაოდენობა: 12 ვაკანტური ადგილი
სამუშაო ადგილი: ქ. ბათუმი
პოზიციის ხანგრძლივობა: 2021 წლის 25 დეკემბრამდე (გაგრძელების პერსპექტივით)

პერსონალური ასისტენტის ძირითადი მოვალეობები:

- ✓ პერსონალური ასისტენტის მოვალეობაა დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს/პირს იმ აქტივობის/აქტივობების შესრულებაში, რომელშიც ის სირთულეებს ან ბარიერებს აწყდება. ეს აქტივობები შეიძლება იყოს: თავის მოვლის, კვების, ჩაცმის, სახლის საქმის, საყიდლებზე სიარულის, გადაადგილების/ტრანსპორტირების, მუშაობისა და დასვენების, კომუნიკაციის, დღის დაგეგმვის ან/და სხვა აქტივობა.
- ✓ პერსონალური ასისტენტის სამუშაო პროცესის შინაარსი და მისი ხანგრძლივობა ინდივიდუალური, მრავალფეროვანი, მოქნილია და დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებებსა და ცხოვრების რუტინაზე.
- ✓ შესაძლებელია ერთი პერსონალური ასისტენტი ემსახურებოდეს რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს/პირს თუ მათი გრაფიკები იძლევა ამის შესაძლებლობას.

საჭირო კვალიფიკაცია და უნარ-ჩვევები

- ✓ საშუალო სრული განათლება;
- ✓ სასურველია შშმ ბავშვებთან და პირებთან ურთიერთობის გამოცდილება
- ✓ დამოუკიდებლად და წყვილში მუშაობის გამოცდილება/უნარი
- ✓ ხარისხსა და შედეგზე ორიენტირებული მიდგომა
- ✓ პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა
- ✓ კარგი კომუნიკაციის უნარი
- ✓ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე
- ✓ პუნქტუალური
- ✓ ყურადღებიანი დეტალების მიმართ

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

- ✓ მოქნილი
- ✓ მოტივირებული
- ✓ ორგანიზებული
- ✓ სწრაფი ათვისების უნარით
- ✓ სანდო
- ✓ მოწესრიგებული და კარგი ჰიგიენური ჩვევების მქონე
- ✓ ინიციატივის მქონე
- ✓ შრომისმოყვარე
- ✓ პროფესიული განვითარების მზაობის მქონესტრესულ/კრიზისულ სიტუაციებში სწრაფად მოქმედებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარის მქონე

შერჩევის პროცედურა:

- ✓ ორგანიზაციის ელ. ფოსტაზე მიღებული დოკუმენტაციის განხილვა/შეჩევა;
- ✓ გასაუბრება.

კონკურსის შედეგად შერჩეული იქნება 15 კანდიდატი, რომელიც 22 დღის მანძილზე გაივლის ინტენსიურ ტრეინინგ კურსს. გადამზადებული 15 კანდიდატისგან დასაქმდება 12 კანდიდატი.

წარსადგენი დოკუმენტები:

- ✓ რეზიუმე CV
- ✓ შევსებული აპლიკაცია

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
---	---
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

ფასების ცხრილი

N	მომსახურების დასახელება	განზომილების ერთეული, რაოდენობა		ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	პერსონალური ასისტენტების გადამზადება (22 დღიანი ტრენინგი)	კაცი	15	960	14400
სულ ჯამი					**14400,00**

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)